ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3824172

ნომერი: AR1574862

თარიღი : 07.02.2018

გაცემის თარიღი : 14.02.2018

გაცნობის თარიღი : 14.02.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრორაიონი III , კვარტალი I, ავტოფარეხის მიმდებარედ, ნაკვ. 25/155.
ქ.თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრორაიონი III , კვარტალი I, ავტოფარეხის მიმდებარედ, ნაკვ. 25/157.(ახალი მისამართია - .თბილისი. ნუცუბიძის ფერდობი, III მიკრორაიონი, პირველი კვარტალი, კორპუსი 6გ.;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ავთანდილ ძაგანიშვილი პ/ნ 01017003673
- ვაჟა ფშაველას გამზირი მე-6 კვარტალი, კორპუსი 22, ბინა 51

ორგანიზაცია:
- შპს iBuild კოდი: 404974649

ნომენკლატურა :

- I კლასი
- პერგოლა
  კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს: წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მოთხოვნის ტექსტის მიხედვით ხდება არსებულ პერგოლის შემინვა, რაც თავისი მახასიათებლებით არ განეკუთვნება I კლასის მახასიათებლებს და განეკუთვნება ისეთი კლასის რეკონსტრუქციას, რომელიც საჭიროებს არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას.

ამასთან მოგახსენებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14–39 დადგენილების მუხლი 20–ის თანახმად "მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე, რომლებსაც უნებართვოდ ან სხვა მიზეზის შედეგად ნაწილობრივ დაშენების, მიშენების ან/და მანსარდის მოწყობის გამო დაკარგული აქვთ დასრულებული არქიტექტურული იერსახე, დაშენება, მიშენება ან/და მანსარდის მოწყობა ნებადართულია ერთიანი პროექტის საფუძველზე, იერსახის მოწესრიგების მიზნით".
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.